

შპს „მცხეთისსოფწყალი“
ს/კ 436034104
მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. N73
ტელ.: (+995)577 21 88 99
032 251 35 88
ელ.ფოსტა: mtskhetawyali@gmail.com



LTD "Village Water of Mtskheta"
I/C 436034104
Mtskheta, David Agmashenebeli str. N73
Tel.: (+995) 577 21 88 99
032 251 35 88
E-mail: mtskhetawyali@gmail.com

№ 438

4 ნოემბერი 2022 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

წარმოგიდგენთ ორგანიზაციის 2022 წლის 9 (ცხრა) თვის (I-II-III კვარტალი) საქმიანობის შესახებ ანგირს.

შპს „მცხეთის სოფწყალი“ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მ/წლის I-II-III კვარტლის განმავლობაში, პანდემიის პერიოდში, არასამუშაო დღეებსა და საათებშიც კი ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენებისა და კომუნიკაციების რეგულარულ მომსახურებას, განურჩევლად დაქვემდებარებისა და საკუთრებისა, რათა სასმელი წყლით სარგებლობა მოსახლეობისათვის ყოფილიყო რეგულარული და არ ყოფილიყო საშიში.

შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს საავარიო სამსახურს ყოველდღიურად უწევდა წყალსადენის ქსელების დაზიანებების და სხვადასხვა ავარიული შემთხვევების გამოძახებაზე რეაგირება, რომელთა შინაარსიც ძირითადად იყო:

- უშუალოდ წყალსადენი ქსელის დაზიანება;
- ლოკალური გაჟონვები, გამოწვეული მომხმარებლების მიერ წყალსადენზე თვითნებური და რაც მთავარია უხარისხოდ შესრულებული დაერთებებით;
- ამორტიზირებული წყალსადენების კონკრეტული მონაკვეთების შეცვლა;
- დაზიანებული ჩამკვეთ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება/გამოცვლა;
- რეზერვუარების დაქლორვა, გაწმენდა-გარეცხვა და სხვა.

ავარიული გამოძახებების რაოდენობამ 2022 წლის I-II-III კვარტლის განმავლობაში შეადგინა 336 ერთეული (რომელთაგან ფაქტიურად ყველა აღმოიფხვრა), რაც ძირითადად გამოიწვია სამონტაჟო სამუშაოების ხარისხიანმა შესრულებამ.

გამოცხადებული ტენდერების მეშვეობით ორგანიზაციის მიერ შესყიდული, წყლის მიწოდებისთვის საჭირო წყალსადენი მილების და სხვადასხვა სახის ხელსაწყო-დეტალების და ფასონური ნაწილების ღირებულება შეადგენს - 147 412.57 ლარს მათ შორისაა:

- ჭაბურღილის ტუმბო და ძრავი - 44 ცალი - 51 765 ლარი;
- ჭაბურღილის ტუმბოს მართვის ელ. კარადა - 16 ცალი - 7 850 ლარი;

- თუჯის ურდული - 36 ცალი - 14 405 ლარი;
- თუჯის უკუსარქველი - 15 ცალი - 2 550 ლარი;
- რკინა-ბეტონის ჭა, თუჯის თავსახურით - 9 ცალი - 4 860 ლარი;
- 250 კვტ-იანი ტრანსფორმატორი - 1 ცალი - 4 800 ლარი;
- 63 კვტ-იანი დენის გარდამქმნელი - 1 ცალი - 4 900 ლარი;
- ელ. სადენი - 745 მეტრი - 5 143.58 ლარი;
- პოლიეთილენის მილი - 7 110 მეტრი - 15 100.60 ლარი;
- სენსორი - 15 ცალი - 255 ლარი;
- მექანიკური გადასაბმელი ქურო/მუფტა - 699 ცალი - 2 803.78 ლარი;
- სამკაპი - 70 ცალი - 832.56 ლარი;
- ელ. გადასაბმელი ქურო თეგა - 60 ცალი - 851.50 ლარი;
- გადამყვანი ქურო - 51 ცალი - 350.55 ლარი;
- ბურთულა ვინტილი ადაპტორებით - 204 ცალი - 4 916.06 ლარი;
- საკისარი - 22 ცალი - 3 525 ლარი;
- ავტომატური ამომრთველი - 37 ცალი - 1 946 ლარი;
- იზოლირებული გვარლი - 1100 მეტრი - 2 700 ლარი;
- კონტაქტორი - 14 ცალი - 930 ლარი;
- ფაზური და თბური დაცვის რელე - 26 ცალი - 1 637 ლარი;
- მრიცხველი - 8 ცალი - 520 ლარი;
- ელექტრო ქურო - 140 ცალი - 1 776.95 ლარი;
- ადაპტორი - 141 ცალი - 608.08 ლარი;
- მექანიკური გადამყვანი - 38 ცალი - 247.26 ლარი;
- მუხლი - 29 ცალი - 191.26 ლარი;
- უნაგირი - 12 ცალი - 39.04 ცალი;
- მექანიკური ვინტილი ადაპტორებით - 7 ცალი - 369.70 ლარი;
- მავთულბადე - 21 ცალი - 1 455 ლარი;
- ბაწარი „ჩოხალი“ სატენი - 21 კგ. - 742 ლარი;
- საპოხი „ტაოტი“ - 87 კგ. - 350 ლარი;
- სხვადასხვა ფასონური დეტალი - 3 403 ცალი - 7 412.65 ლარი;
- ფანარი - 7 ცალი - 239 ლარი;
- წნევის საზომი მანომეტრი - 6 ცალი - 150 ლარი;
- ბალახის სათიბი - 2 ცალი - 580 ლარი;
- ამპმეტრი - 3 ცალი - 90 ლარი;
- კუთხლივ სახეხი ხელსაწყო „ბარგალკა“ - 1 ცალი - 310 ლარი;
- ელ. გამათბობელი - 1 ცალი - 85 ლარი;
- კოჭზე დახვეული კაბელი - 1 ცალი - 125 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გახარჯული მასალების თანხაა - 87 460.27 ლარი, მათ შორის:

- ჭაბურღილის ტუმბო და ძრავი-44 ცალი - 51 765 ლარი;
- ჭაბურღილის მართვის ელ. კარადა-11 ცალი-5 100 ლარი;
- ელ. სადენი-738 მეტრი-4 667.58 ლარი;
- პოლიეთილენის მილი -2600 მეტრი - 8 076.60 ლარი;
- ადაპტორი -96 ცალი - 370.64 ლარი;

- ურდული-24 ცალი - 6 946.75 ლარი;
- გადამყვანი -55 ცალი - 305.27 ლარი;
- ფლიანეცი-15 ცალი - 248.63 ლარი;
- მექანიკური გადასაბმელი ქურო/მუფტა -524-ცალი - 3 024.99 ლარი;
- მუხლი-34 ცალი - 112.76 ლარი;
- საცობი -16 ცალი - 19.98 ლარი;
- ბურთულა ვინტილი ადაპტორებით -100 ცალი - 1 953.38 ლარი;
- უნაგირი-50 ცალი - 267.45 ლარი;
- ელ გადასაბმელი ქურო თეგა - 15 ცალი - 449.28 ლარი;
- სამკაპი- 44 ცალი - 658.96 ლარი;
- მექანიკური ვინტილი ადაპტორებით-6 ცალი-108 ლარი;
- ფასონური დეტალი სხვადასხვა -1379 ცალი - 3 385 ლარი.

შეძენილი მასალები გაიხარჯა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ავარიულად შესრულებულ სასმელი წყლის დაზიანებული მაგისტრალების სარეაბილიტაციო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაში.

2022 წლის I-III კვარტალში შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს მომსახურების არეალს შეემატა;

- სოფელ წილკანში 1 ერთეული ჭაბურღილი, 25 კუბ.მ მოცულობის 1 ერთეული რეზერვუარი, d-50 მმ დიამეტრის 119 გრძივი მეტრი წყალსადენი.

- სოფელ ნიჩბისში 1 ერთეული ჭაბურღილი 10 კუბ.მ/სთ წარმადობის d-90 მმ დიამეტრის 1428 მეტრი, ხოლო d- 20 მმ 75 დიამეტრის 24 666 გრძივი მეტრი წყალსადენი.

- სოფელ ძალისში 1 ერთეული ჭაბურღილი 5 კუბ.მ/სთ წარმადობის d-90 მმ დიამეტრის 455 გრძივი მეტრი წყალსადენი.

- სოფელ ბიწმენდში 1 ერთეული ჭაბურღილი 5 კუბ.მ/სთ წარმადობის d-90 მმ დიამეტრის 1333 გრძივი მეტრი წყალსადენი.

დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების (წყალმომარაგების წყარო; გამანაწილებელი ქსელი; შემკრები ავზები) მდგომარეობის შესწავლა. მოსახლეობის კერძო სექტორსა და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 94 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP-ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (4 სოფელი) მეშვეობით.

გამანაწილებელი ქსელი გაიზარდა 3 662 კმ-ით და დღეის მდგომარეობით დაახლოებით 353 547 კმ-ია, ხოლო სხვადასხვა ზომის შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობა 109 ერთეული (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი) საერთო მოცულობით 14 479 კუბური მეტრი.

რეზერვუარებში არსებულ და საერთოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ფარგლებში სასმელად განპიროვნებული წყლის გაუსწებობა, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბოლატორიული კვლევა ხდებოდა კონკრეტული შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში მოემსახურა 59 სოფელს, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების მოთხოვნით, წერილობითი განცხადებით სამსახურს აღნიშნულ პერიოდში მომართა 390 სასმელი წყლის პოტენციურმა მომხმარებელმა. წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ სხვა

ტექნიკურ საკითხთა განმხილველი კომისიის მიერ დაკმაყოფილდა და ტექნიკური პირობა გაიცა 326 მათგანზე, ხოლო 64-ს ეთქვა წერილობითი უარი, ძირითადად „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის Ns-1559 ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმად „მიმწოდებელი უფლებამოსილი არ არის დააკმაყოფილოს იმ ახალი მიერთების მსურველის განცხადება, რომლის საცხოვრებელი სახლი ან/და ნაკვეთი მდებარეობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის არმქონე, მოქმედი წყალსადენით დაუქსელავ ან/და ახლად განაშენიანებულ ტერიტორიაზე“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზაფხულის სეზონის განმავლობაში გაიზარდა სასმელი წყლის მოხმარება. ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ შექმნილი ჯგუფები ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით რეგულარულად ათვალიერებდნენ ტარირორიებს სასმელი წყლის არასაკოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების (ძირითადად მორწყვის და თვითნებური დამატებითი დაერთებების) გამოსავლენად და შეძლებისდაგვარად აღსაკვეთად, რამაც შესამჩნევი შედეგი გამოიღო და სერიოზულად აისახა სოფლების წყალმომარაგების მდგომარეობაზე.

დანართი: № 1, 1 (ერთი) ფურცელი
2022 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის ანგარიში.

პატივისცემით,
შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს
დირექტორი



ირაკლი ჩხაიძე

შპს "მცხეთის სოფწყალი" 2022 წ.

ლარებში

№	ხარჯები სახეების მიხედვით (მუხლობრივი)	2022 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი
1	შრომის ანაზღაურება	760200	559100	550449
2	სოციალური გადასახადი 2%	9330	6680	6877
3	საქ. და მომსახ. წყლის ლაზ კვლევა	1000	400	288
4	დანამატი	50000		0
5	შტატგარეშე	35750	19000	18765
6	ოფისის ხარჯი	12550	8950	6205
7	უნიფორმა	4900	3730	3726
8	ტრანსპორტის მოვლა შენახვის	258070	167970	221445
9	ქონების გადასახადი	35200	34200	32615
10	კაპიტალური ხარჯების	171000	80000	73333
11	საქონელი და მომსახურების	245000	137500	137336
	სულ	1583000	1017530	1051039

დირექტორი:

ი. ჩხაიძე



